**ხელშეკრულება №31**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

8 აგვისტო 2017 წ.

**1.ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორი გრიგოლ რუხაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორესმხრივ შ.პ.ს "juli"-ის დირექტორის მ.ქოიავას სახით (შემდეგში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 მუხლისპირველი პუნქტის"ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვემის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება").

**2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია**

2.1 შესყიდვის ობიექტი- სამეურნეო საქონელი:კონდიციონერის შეძენა
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი 42500000- გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები – 599ლარის.

**3. ხეშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 599(ხუთასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები**

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2017წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ/ფაქტურა და სხვა.

**5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა**

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება,ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

**7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება ჩაბარების წესი**

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს საწარმოს დირექტორი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება –ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით-(გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10(ათი) დღის განმავლობაში.

## 8. ფორს მაჟორი

8.1 მხარეები არ არიამ პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ყველა ის გარემოება რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვაკლისწინებეი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაევალოს თანამშრომელს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქცია მისაწოდებელი ან და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულევის კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი.

## 11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი –მიმწოდებელთან, მეორე შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| „ შემსყიდველი " | „ მიმწოდებელი" |
| შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი" | შ.პ.ს "juli"- |
| ქ. ფოთი, მიქაბერიძის №2 | ფაქტ. მის: ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი 20 |
| ს/ს ლიბერთი ბანკი, | მის; თბილისი, ჩაჩავას ქ№2-4-6-8-10-12 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 215139348 | საიდენტიფიკაციო კოდი: 202274859 |
| მ/ა GE12LB0113140194132000 | მ/ა ა GE28LB0113120046136000 |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| | ტელ: 99532 518 815 |
| დირექტორი: /გ. რუხაძე/ | დირექტორი: /ნ.ქოიავა/ |